

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი



მოგესალმებით
და გაგაცნობთ
საქართველოს
ზრდასრულთა განათლების
ქსელის (GAEN) მიერ
მიმდინარე პერიოდში გაწეული
მუშაობისა და საინტერესო
მოვლენების შესახებ

vhs
DVV International

N2
2017

ნომერშია:

- GAEN-ის მონაწილეობა
ზრდასრულთა განათლების
მე-5 საერთაშორისო კონფერენციაში 2
- მედია კონკურსი ზრდასრულთა
განათლების თემაზე 3
- ტრენინგი ზრდასრულთა განათლების
საფუძვლების თემაზე 5
- სასწავლო ვიზიტი ბავარიაში 6
- სამეწარმეო სწავლების გაძლიერება არაფორმალურ
განათლებაში 7
- ხელოვნება თემის განვითარებისთვის 10
- ევროპის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის
(EAEA) ტრენინგები ზრდასრულთა
განათლების ახალგაზრდა
სპეციალისტებისთვის 11

GAEN-ის მონაწილეობა ზრდასრულთა განათლების მე-5 საერთაშორისო კონფერენციაში



2017 წლის 11-12 ოქტომბერს სახალხო უნივერსიტეტთან გაერთიანებული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV international ორგანიზებით თბილისში მე-5 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომლის მუშაობაშიც საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელიც

გავლენის სფერო, მიღწევები, ნევრი ორგანიზაციების როლი, საქმიანობაში არსებული ბარიერები და შეზღუდვები, მთავარი გამოწვევები. კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ზრდასრულთა განათლების ქსელების წარმომადგენლებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო



განვითარებისთვის იდეები გაცვალეს.

14 ოქტომბერს კი საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა თავად უმასპინძლა DVV International-ის მე-5 საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს სომხეთიდან, ნაზარეთიდან, იორდანიიდან და პალესტინიდან. ამ ქვეყნებში DVV International-ის ადგილობრივ ოფისებსა და ზრდასრულთა განათლების ცენტრებში მოღვაწე სტუმრები საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მუშაობის სპეციფიკით, მისიით, სამუშაო მიმართულებებითა და განხორციელებული აქტივობებით დაინტერესდნენ. **ქსელის პროექტის კოორდინატორმა ლიკა ქუთელიამ** სტუმრებს პრეზენტაციის სახით გააცნო ქსელის საქმიანობა. მათ ასევე მოის-



იყო ჩართული. ქსელის პროექტის კოორდინატორმა **ლიკა ქუთელიამ** GAEN-ის საქმიანობა წარუდგინა სამუშაო ჯგუფს: „ძალა-სა და შეზღუდვებს შორის - ზრდასრულთა განათლების ეროვნული ქსელები“. ექსპერტებისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფში განიხილებოდა ზრდასრულთა განათლების ქსელების მისია და სამუშაო მიმართულებები,

მინეს ქსელის დამფუძნებელი ორგანიზაციის, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV International-ის საქართველოს ოფისის დირექტორის, ქალბატონ ლალი სანთელაძის ინიციატივით ქსელის შექმნის მიზნის, პროცესის, ზრდასრულთა განათლების ცენტრების საქმიანობაში ქსელის როლისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

თავის მხრივ კი სტუმრებმა საკუთარ ქვეყნებში ზრდასრულთა განათლების ქსელის შექმნის პოტენციალი შეაფასეს, შეადარეს გამოწვევები და არსებული რესურსები და მოიწონეს ქსელის შექმნის იდეა, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მიერ ცენტრებთან ერთად განხორციელებული და ამჟამად მიმდინარე პროექტები, ღონისძიებები და დამყარებული კავშირები.



გაერთიანებული ზრდასრულთა განათლების ქსელი

ქვეყნების კონსტიტუცია





რამა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც DVV International-ის საქართველოს ოფისი აფინანსებს.

კონკურსში განსახილველად მიიღებოდა 2017 წლის იანვრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით მედია სივრცეში გამოქვეყნებული ჟურნალისტური ნამუშევრები (ბეჭდვით, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, ტელე-რადიო სიუჟეტი ან რეპორტაჟი).

წლევანდელ კონკურსში 17 ჟურნალისტი და თავისუფალი ბლოგერი მონაწილეობდა. ნამუშევრები, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, ზრდასრულთა განათლების ექსპერტებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა.

მედია კონკურსის დაჯილდოების დონისძიება 2017 წლის 30 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტთან გაერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV International ოფისში გაიმართა და მას მედიისა და ზრდასრულთა განათლების სფეროში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **წლევანდელი კონკურსის გამარჯვებული გახდა ქრისტინე მაღლაკელიძე - „რადიო თავისუფლების“ ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებული ნამუშევრით „ზრდასრულთა განათლება საქართველოში“.** ფულად ჯილდოსთან ერთად გამარჯვებულს სამახსოვრო პრიზი და სერტიფიკატი გადაეცა. მაღლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ კონკურსის დანარჩენი მონაწილეებიც. მათ შორის ბრძანდებოდნენ სამივე კონკურსის მონაწილე ავტორებიც, რომელთაც განსაკუთრებული მაღლიერებით გადაეცათ „ერთგულების სიგელი“.



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) უკვე მესამე წელია, საზოგადოებაში ზრდასრულთა განათლების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, ახორციელებს **ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსს „ზრდასრულთა განათლების რეალობა და პრობლემები საქართველოში“.**

კონკურსი ყოველწლიურად სახალხო უნივერსიტეტთან გაერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის **DVV international** საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ტარდება „ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის პროგ-



ზრდასრულთა განათლების ისტორიულ მიმოხილვას მიეძღვნა - თუ როგორ ვითარდებოდა ზრდასრულთა განათლება ქვეყანაში, რა სახის სკოლები არსებობდა ამისათვის და ვინ იყვნენ ან არიან ზრდასრულთა განათლების მთავარი პროვაიდერები საქართველოსა და მსოფლიოში.

სათემო/ზრდასრულთა განათლების ცენტრების ორგანიზაციული განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International საქართველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, **3 ივნისს კო-**

დის სათემო განათლების ცენტრის ოფისში ცენტრის ტრენერებისა და ადმინისტრაციის წევრებისთვის ზრდასრულთა განათლების საფუძვლების თემაზე ტრენინგი ჩატარდა. მას თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დოქტორანტი ნინო კოდუა უძღვებოდა.

ტრენინგი მიზნად ისახავდა მსმენელები-სათვის ზრდასრულთა განათლების საფუძვლების სწავლებას, კერძოდ: როგორ განიმარტება და რა მნიშვნელობის მატარებელია ზრდასრულთა განათლება; რა მიზანს ემსახურება იგი და რას გულისხმობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფცია? გარდა ამისა ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს მიერ 2006 წლის 18 დეკემბერს რეკომენდაციის სახით შემუშავებულ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციებსა და ზრდასრულთა განათლების ფუნდამენტურ პრინციპებს.

ტრენინგის მეორე ნაწილი საქართველოში

ბრანდინგი ზრდასრულთა განათლების საფუძვლების თემაზე

ტრენერმა ზრდასრულთა განათლების სფეროში ჩართულებს ზრდასრულთა განათლების სპეციფიკისა და მნიშვნელობის შესახებ აუცილებელი ცოდნა მიანოდა, რათა მათ უკეთ გაიაზრონ თავიანთი



როლი ამ სფეროში. დისკუსიის პროცესში მონაწილეთა აქტიურმა ჩართულობამ და საკითხის გარშემო წარმოქმნილმა კითხვებმა ამ მიმართულებით ცოდნის მუდმივი განახლების საჭიროება დაგვანახა. ცენტრთან შემხებლობაში მყოფი ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს საბაზისო კომპეტენციას მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლასთან და მის განუყოფელ ნაწილთან - ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, თემში სფეროს პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და ზრდასრულთა განათლებით ახალ მონაწილეთა დასაინტერესებლად გააძლიერებს ცენტრის წარმომადგენლებს.

სასწავლო ვიზიტი ბავარიის

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მიმდინარე პროექტის „ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოში“, რომელიც **DVV international**-ის საქართველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს, ერთ-ერთ ამოცანა ზრდასრულთა განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობაა. ამოცანის ფარგლებში **2017 წლის 3-7 ივლისს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი ხატია ცირამუა და DVV- international საქართველოს ოფისის დირექტორის მოადგილე ლიკა კაციტაძე** სასწავლო ვიზიტით გერმანიაში (ბავარიის რეგიონი) იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში ისინი ქამის ზრდასრულთა განათლების ცენ-



ტრსა და ცენტრის მიერ დაფუძნებულ სკოლებს, მიუნხენის ზრდასრულთა განათლების ცენტრს, ბავარიის ზრდასრულთა განათლების ასოციაციას ეწვივნენ. ასევე, შეხვედრა შედგა ბავარიის პარლამენტის ბაზაზეც და





ამ ორგანიზაციების საქმიანობის სფეროს, სამუშაო მიმართულებებს, მიღწევებსა და გამოწვევებს გაეცნენ. თავის მხრივ კი მას-პინძლებს საქართველოში ზრდასრულთა განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა, **DVV international** საქართველოს ოფისისა და საქართველოს ზრდასრულთა

განათლების ქსელის საქმიანობა წარუდგინეს. ვიზიტის შედეგად პარტნიორი ორგანიზაციაც შეირჩა საერთაშორისო პროექტების მდიდარი გამოცდილებით (მათ შორის, თანამშრომლების გაცვლითი პროგრამები) და ერთობლივი პროექტების განხორციელების ინტერესიც გაჩნდა.

სამენარმოეო სწავლების გაძლიერება არაფორმალურ განათლებაში



პროფესიული განათლება
ეკონომიკის განვითარებისთვის
**INDUSTRY-LED SKILLS AND
WORKFORCE DEVELOPMENT**



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი 2017 წლის აპრილში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში, საგრანტო კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა, რომელიც დაფინანსებულია ა.შ.შ. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ.

მცირე საგრანტო კონკურსის მიზანია პროფესიული სწავლების პრაქტიკის გაძლიერება და კარგი მაგალითების გავრცელება პროფესიული განათლების სექტორში.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მიერ ინიცირებული პროექტი მიზნად ისახავს სამენარმოეო სწავლების გაძლიერებას არაფორმალურ განათლებაში. პროექტი



ითვალისწინებს პროფესიულ განათლებაში არსებული სამენარმეო განათლების მოდულის სწავლებას ამბროლაურის და სენაკის ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ცენტრებში, რისთვისაც ზრდასრულთა არაფორმალურ სწავლებას მორგებული საპილოტე მოდული შეიქმნა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ასევე სამენარმეო განათლების მოდულის აღიარების გზამკვლევი, რომელიც „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ ამავე პროგრამის ფარგლებში 2016 წელს შემუშავებულ კონცეფციაზეა დაფუძნებული.

საქართველოში დაიწყო არაფორმალური/ინფორმალური განათლების აღიარების უმნიშვნელოვანესი პროცესი, თუმცა იგი გამოცდილი კადრებისა და მეთოდოლოგიური რესურსების ნაკლებობას განიცდის. აღნიშნული გზამკვლევი კი არაფორმალური/ინფორმალური განათლების აღიარების სისტემის დახვეწას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, შემუშავდა სამენარმეო სწავლების მოდული არაფორმალური განათლებისათვის და მეთოდოლოგიის დამხმარე სა-

ხელმძღვანელო პედაგოგებისთვის. მოდული ეფუძნება მენარმეობის სწავლების ინოვაციურ და თანამედროვე მიდგომებს - ბიზნეს კანვას მოდელი (Business Model canvas), დიზაინერული აზროვნება (design thinking) - რაც საუკეთესო საშუალებებად მიიჩნევა ზრდასრულებისა და ახალგაზრდების სწავლებისათვის.

პროექტის ფარგლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 10 მასწავლებელი გადამზადდა, რომელთაგან თითო-თითო შეირჩა ამბროლაურისა და სენაკის ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებში ტრენინგების ჩასატარებლად.

სექტემბერი-ნოემბრის თვეში ამბროლა-



ურისა და სენაკის ზრდასრულთა განათლების ცენტრებში სამენარმეო კურსები მიმდინარეობდა. ამბროლაურში სამენარმეო კურსი მენარმეობით დაინტერესებულმა 14-მამსმენელმა გაიარა, სენაკში კი - 10-მა. პროგრამის ამოცანა კურსდამთავრებულისათვის მენარმის უნარ-ჩვევების განვითარება იყო.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს კომპანიის სტრატეგიულ განვითარებაში, სტრუქტურირებაზე და ა.შ. კონსულტაციები გაუწია საერთაშორისო გამოცდილების მქონე კომპანიამ “C-team”.

რეგიონებში პროექტის პრეზენტაციებმა, შეხვედრებმა ადგილობრივ მოსახლეობას-



თან და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან ცხადყო, რომ პროექტი ზუსტად პასუხობს ადგილობრივი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს. სამეწარმეო განათლების მიმართ ინტერესი დიდია, განსაკუთრებით, ზრდასრულებს შორის, რადგან მათ აქვთ საინტერესო ბიზნეს-იდეები, თუმცა არასაკმარისი ცოდნა, ამიტომ ინოვაციების ნაკლებობა მთავარ გამოწვევად რჩება. ამ გამოწვევებს კარგად პასუხობს პროექტის მიზნები და ამოცანები.

პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი მედია საშუალებებით გავრცელდა: ელექტრონული ჟურნალი Livepress.ge; ტელე-რადიო კომპანია ოდიში (სამეგრელო-ზემო სვანეთი და აფხაზეთის ნაწილი); ელექტრონული ჟურნალი „სამხრეთის კარიბჭე“ (სამცხე-ჯავახეთი); ბეჭდური მედია „გურჯისტანი“ (ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, თბილისი, რუსთავი).

სამეწარმეო პრაქტიკის პოპულარიზაციისთვის პროექტი ბიზნეს-იდეების კონკურსსაც ითვალისწინებდა, რომლის მეშვეობით ორი **საუკეთესო ბიზნეს იდეა გამოვლინდა. საუკეთესო ბიზნეს-იდეების ავტორები პროექტის დასკვნით კონფერენციაზე დაჯილდოვდნენ, რომელიც 15 დეკემბერს, თბილისში „ლოლიტას“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.**

კონფერენციაზე პროექტის მენეჯერმა ნინო კოდუამ პროექტის მიზნები და განხორციელებული აქტივობები გააცნო დამსწრეთ.

კონფერენციის მონაწილეთა წინაშე მისასალმებელი სიტყვით წარსდგა **საგრანტო პროგრამის ხელმძღვანელი ვალენტინ მიტევი**, რომელმაც შეაქო პროექტის გუნდი შესანიშნავად ჩატარებული სამუშაოსთვის.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ლაშა ლაბაძე; თსუ ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენ-



ტრის დირექტორი ნანი მაჭარაშვილი. ISET კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი თამთა მარიდაშვილი; საკონსულტაციო კომპანია C-team მმართველი პარტნიორი და დამფუძნებელი დავით ქარდავა; ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჯოლიანი; კონფერენციას მოდერაცია ბიზნეს-იდეების კონკურსის კოორდინატორმა, კრეატიული განვითარების ცენტრის დამფუძნებელმა, მენტორმა და ტრენერმა თეონა დალაქიშვილმა გაუწია.

კონფერენციაზე ბიზნეს იდეების კონკურსის მონაწილე საუკეთესო ბიზნეს-იდეის ავტორები დაჯილდოვდნენ. ესენი გახლავთ: შპს „სტუდია ველოსიპედი“- პროექტით „ჟირაფი ჟოზე“ და ნათია მაისაშვილი და თეო ფოლადაშვილი პროექტით „საკიშორე-კემპინგი“. გამარჯვებულები ტექნიკური ევალუაციის პანელის წევრებმა გამოავლინეს, მათ შორის: C-TEAM, „აწარმოე საქართველოში“; საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA); Impact Hub Tbilisi; ეროვნულ-სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან არსებული სივრცე „ფარენჰეიტი“.



საქონება თაჲის განვითარებისთვის



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი GAEN უკრაინულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ახალგაზრდული ალტერნატივა“ (NGO Youth Alternative (YA) პარტნიორობით ქვემო ქართლისა და სამეგრელოს რეგიონებში აგვისტოდან ახორციელებს 8-თვიან პროექტს „ხელოვნება თემის განვითარებისთვის“ („P(ART) of Community“), რომელიც დევნილ ახალგაზრდებში ხელოვნების გზით სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

პროექტის ფარგლებში 28 ოქტომბერს ჯვარის სათემო განათლების ცენტრში შერჩეული მონაწილეებისთვის ჩატარდა

ტრენინგი თვითმმართველობასთან ეფექტური თანამშრომლობის თემაზე. მას ადგილობრივი **ტრენერები იაგო ფასანძე და ეგნატე შამუგია უძღვებოდნენ.**


29 ოქტომბერს გაიმართა დისკუსია დევნილი ახალგაზრდების საჭიროებების, პრობლემებისა და შესაძლებლობების შესახებ. დისკუსიას მოდერაციას უწევდა **არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარის“ დამფუძნებელი და დირექტორი ხათუნა ბეჭვია.**



ასევე, 29 ოქტომბერსა და 4 ნოემბერს ჯვარელ ახალგაზრდებს ჩაუტარდათ კედლის მხატვრობის ესკიზების შექმნის ვორკშოფი, რომელმაც მათი

დიდი ინტერესი გამოიწვია. მას **მხატვარი და სამოქალაქო აქტივისტი როსტომ ზარანდია** უძღვებოდა. მოგვიანებით კი ამავე თემაზე ჯვარის სათემო განათლების ცენტრში გამოცხადდა კონკურსი „კედლის მხატვრობისათვის საუკეთესო ესკიზის“ გამოსავლენად. საკონკურსო ნამუშევრების თემაა „თანაცხოვრება და ინტეგრაცია“, „სტერეოტიპები“, „ახალგაზრდული აქტივიზმი“ და „მშვიდობა“. საკონკურსო ნამუშევრებიდან საუკეთესოს სპეციალური ჟიური შეარჩევს და ის პროფესიონალი კედლის მხატვრის სუპერვიზის ქვეშ კონკურსის მონაწილეთა მიერ კედელზე დაიტანება ქალაქ ჯვარში.

გარდა ამისა სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების საფუძველზე, პროექტში ჩართულობის ხარისხის გათვალისწინებით, პროექტის მონაწილე ახალგაზრდებს შორის ჟიურიმ უკვე შეარჩია საუკეთესო, რომლებიც გაზაფხულზე უკრაინაში (ოდესა) გაემგზავრებიან და ორდღიან ორმხრივ სესიას



დაესწრებიან. სესიაზე ახალგაზრდებისათვის საერთაშორისო შესაძლებლობების, დევნილებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის არსებული პროგრამებისა და თანამშრომლობის საკითხები განიხილება.

„შავი ზღვის ნდობის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისათვის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ხელოვნება თემის განვითარებისთვის“ („P(A)RT of Community“) შემდეგი ეტაპი ქვემო ქართლში, კოდაში განხორციელდება.



ევროპის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის (EAEA) ტრენინგები ზრდასრულთა განათლების ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის



2017 წლის 19-22 სექტემბერს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროექტის კოორდინატორი ლიკა ქუთელია ბრიუსელში, ევროპის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის (EAEA) მიერ ორგანიზებულ ზრდასრულთა განათლების ახალგაზრდა წევრების ტრენინგებში მონაწილეობდა. მასში მონაწილეობისთვის ლიკამ კონკურსის გზით Bob Schouten ფონდის სტიპენდია მოიპოვა.

ტრენინგები ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის განხორციელების, მისი ადვოკატირებისა და ლობირების თემას შეეხებოდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის განხორციელებაში ევროკავშირის გამოცდილებისა და ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ევროპული ინიციატივების გაცნობა,

მათ შორის „უნარების სრულყოფის გზების“ (Upskilling Pathways) ინიციატივა, რომელიც არასაკმარისი უნარების, ცოდნისა და კომპეტენციების მქონე ზრდასრულთა განვითარებისთვის არის გამიზნული.

სესიები ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის განსახორციელებლად სამოქალაქო საზოგადოების როლისა და გავლენის გააზრებასა და ზრდასრულთა განათლების სფეროს სპეციალისტებისათვის კონკრეტული უნარების გადაცემას ემსახურებოდა. მონაწილეები განიხილავდნენ ზრდასრულთა განათლების სფეროში მათ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებს, ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის განხორციელებისა და ადვოკატირების პროცესებს და ერთმანეთს თავიანთი ორგანიზაციების მისიასა და საქმიანობას აცნობდნენ.

ტრენინგები არაფორმალური სწავლების ეფექტურ მეთოდებსაც შეეხებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია EPAL-ე პლატფორმის შესახებ. ეს გახლავთ ევროკომისიის განათლების, ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის გენერალური დირექტორატის ინიციატივა და წარმოადგენს გაერთიანებას, რომელშიც ევროპის მასშტაბით გაწევრიანებული ზრდასრულთა განათლებაში მოღვაწე პირები ერთიანდებიან. **EPAL-ე პლატფორმა** ზრდასრულთა სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაზიარებლად, სიახლეების, სასწავლო რესურსების გასაცნობად არის შექმნილი და, ამდენად, საქართველოს ზრდასრულთა

განათლების ქსელისთვის მნიშვნელოვანია, იყოს მისი რეგისტრირებული წევრი.

კურსის განმავლობაში სესიებს **EAEA-ს გენერალური მდივანი ჯინა ებნერი, ევროკომისიის ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული განათლების განყოფილების (DG EMPL) წარმომადგენელი მარტინა ნიჩილეგი, EAEA-სა და საბაზისო განათლების ცენტრების წარმომადგენლები უძღვებოდნენ**. ხოლო მონაწილეთა შორის იყვნენ ზრდასრულთა განათლების სფეროში დასაქმებული პირები იტალიიდან, ირლანდიიდან, ფინეთიდან, პორტუგალიიდან, ბელგიიდან, შვეიცარიიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და პოლონეთიდან.



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

ტელეფონი: 2 22 25 84; 599 96 33 93.

ელ-ფოსტა: info@gaen.org.ge

ვებ-გვერდი: www.gaen.org.ge

რედაქტორი:

რიტა ბაინდურაშვილი



ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით.